ჩვენი კვლევით დადგინდა, რომ რისკის სხვადასხვა ფაქტორები განსხვავებული სიმლიერის ზეგავლენას ახდენს დაუგეგმავ ორსულობების სიხშირეზე, დაუგეგმავი ორსულობების ხელოვნური აბორტით დასრულებაზე, აბორტის წინა პერიოდში კონტრაცეპციის, მათ შორის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების მოხმარებაზე, ასევე საზოგადოდ, კონტრაცეპციის გამოყენებაზე.

თითოეული ქვეყნის ტრადიციებიდან გამომდინარე ქალების დამოკიდებულება ორსულობასთან განსხვავდება ასაკთან მიმართებაში. ევროპაში პოპულაციის განათლების დონისმატებამ შეცვალა ქალის დამოკიდებულება შვილოსნობასთან, ამჟამად ქალს ურჩევნია შვილის ყოლა მოგვიანებით ასაკში¹⁴⁰. აშშ-ში და ევროპაში დაუგეგმავი ორსულობის რისკი ასოცირდება ახალგაზრდა ასაკთან და ხშირად ქორწინების გარეშე ურთიერთობების შედეგია, ვინაიდან ქალს ურჩევნია, უფრო გვიან ასაკში დაგეგმოს ორსულობა და იყოლიოს შვილი^{141, 142, 159}. ეკვადორში, ირანში, ნიგერიაში, ჩინეთში, ვიეტნამში, ბანგლადეშში კი დაუგეგმავი ორსულობების ალბათობა უფრო მაღალ ასაკთან ასოცირდება¹⁰⁸.

საქართველოში, როგორც ჩვენი კვლევით დადგინდა, დაუგეგმავი ორსულობის რისკი იზრდება ასაკისმატებასთან ერთად. ახალგაზრდა ქალები სქესობრივ ცხოვრებას ძირითადად ქორწინების შემდეგ იწყებენ და გათხოვებისთანავე სურთ შვილის ყოლა. ამიტომ დაბალ ასაკში ორსულობების უმეტესობა დაგეგმილია, რის გამოც მოთხოვნა კონტრაცეპციაზე ნაკლებია¹⁴³. ამასთან, ახალგაზრდა ქალები, რომლებსაც მაღალი რეპროდუქციული პოტენციალი აქვთ, უფრო მოტივირებულები არიან, რომ დაუგეგმავი ორსულობის თავიდან ასაცილებლად თანამედროვე ეფექტური კონტრაცეპციული საშუალებები გამოიყენონ, ხშირად ეს არის დროებითი კონტრაცეპციული მეთოდი - მამაკაცის კონდომი. ამგვარად, საქართველოში ორსულობების სასურველობა, თანამედროვე კონტრაცეპციის უფრო მეტ გამოყენებასთან ერთად დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობას ახალგაზრდა ასაკში ამცირებს.

სხვა ქვეყნების, ეგვიპტის, ესპანეთის, თურქეთის მსგავსად, ჩვენი კვლევითაც დადგინდა, რომ საქართველოშიც დაუგეგმავი ორსულობის ნაკლები რისკი ჰქონდათ მაღალი განათლების მქონე ქალებს^{144, 145, 146}. ეს განპირობებული უნდა იყოს ქალის სურვილით, რამეთუ კარიერული წინსვლის სურვილის გამო მას ურჩევნია ცხოვრების მოგვიანებით პერიოდში დაორსულება და შვილის გაჩენა. ეს სურვილი მას მოტივირებულს ხდის მოიძიოს და გამოიყენოს მაღალეფექტური თანამედროვე კონტრაცეპციული საშუალებები. ამასთან ერთად განათლებულ ქალს აქვს უფრო მეტი

შესაძლებლობა მოიპოვოს ინფორმაცია და შეიძინოს ცოდნა სქესობრივ ჯანმრთელობაზე, რაც მას ანიჭებს მეტ ავტონომიას და უნარს გადაწყვეტილებების მისაღებად თავის სქესობრივ და რეპროდუქციულ ქცევაში.

ჩვენი კვლევის თანახმად, ასაკის მატებასთან ერთად დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობის ზრდა უარყოფით კორელაციაშია თანამედროვე ეფექტური კონტრაცეპციული მეთოდების გამოყენებასთან. მაღალ ასაკში ქალები მეტად იყენებენ ძველ ტრადიციულ მეთოდებს, რაც ნაკლები კონტრაცეპციული ეფექტით ხასიათდება და განაპირობებს დაუგეგმავი ორსულობების რისკის ზრდას. როგორც ჩანს, მათ არ აქვთ ინფორმაცია ახალ ეფექტურ კონტრაცეპციაზე და ძველი ჩვეულებისამებრ მიმართავენ მათთვის ნაცნობ ორსულობისგან დაცვის საშუალებებს.

სხვადასხვა ქვეყნის სოციო-ეკონომიკური ფაქტორებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე ქალის საცხოვრებელს განსხვავებული გავლენა აქვს დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობაზე. მაღალი, ეკვატორში, ნეპალში სოფლად ცხოვრება მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დაუგეგმავი ორსულობის მეტ რისკს, ქალაქად ცხოვრებასთან შედარებით^{65,147,148}. ინდოეთში დაუგეგმავი ორსულობები უფრო ხშირად ურბანულ არეებში აღინიშნებოდათ¹⁴⁹. ეგვიპტეში და ნეპალში ჩატარებულმა კვლევებმა მნიშვნელოვანი კავშირი საცხოვრებელსა და დაუგეგმავ ორსულობას შორის ვერ დაადგინა ^{146, 150}. საქართველოში სოფლად მაცხოვრებელ ქალებს დაუგეგმავი ორსულობის მეტი ალბათობა ჰქონდათ ქალაქად მაცხოვრებლებთან შედარებით.

საქართველოში, სოფლად მაცხოვრებელ ქალებს შედარებით ნაკლები წვდომა აქვთ განათლებასა და ჯანდაცვის სერვისებთან, ვიდრე ქალაქში მაცხოვრებლებს. ეს მათ ხელს უშლის თანამედროვე ეფექტურ კონტრაცეპციულ მეთოდებზე სრულყოფილი ინფორმაცია/ცოდნის მოპოვებაში, რაც გაზრდიდა მათ მიერ ეფექტური კონტრაცეპციის სწორად გამოყენებას. ეს პრობლემა ჩვენს კვლევაში იმით აისახა, რომ აღნიშნული კატეგორიის ქალებს დაუგეგმავი ორსულობების უფრო მეტი რისკი აქვთ, ვიდრე ქალაქად მაცხოვრებლებს. დაუგეგმავი ორსულობების რისკი კონტრაცეპციული მეთოდების გამოყენების არასრულყოფილი ცოდნის გამოც იზრდება, დაუგეგმავი

ორსულობის წინა პერიოდში კონტრაცეპციის გამოყენების სიხშირის მიხედვით განსხვავების არარსებობის პირობებში სოფლად და ქალაქად. იგივე პრობლემა ეხება დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის ქალებს, რომლებსაც უჭირთ კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენებაზე სრულყოფილი ცოდნის მიღება, კონტრაცეპციულ სერვისებზე შეზღუდულ წვდომასთან ერთად.

ჩვენი მონაცემებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებზე ნაკლებად წვდომის და გამოყენების გამო დაუგეგმავი ორსულობების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, აზერბაიჯანელი და სომეხი ქალები, რომლებიც ძირითადად სოფლად ცხოვრობენ და განათლების დაბალი დონე აქვთ ⁹⁸.

საქართველოში დაუგეგმავი ორსულობების ძირითადი ნაწილი (85,5%) მთავრდება ხელოვნური აბორტით. ეს მაჩვენებელი აღემატება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან რეპორტირებულ მაჩვენებლებს.: 53%- განვითარებული ქვეყნებში და 48%- განვითარებად ქვეყნებში. საქართველოს მონაცემები ასახავს რამდენიმე ფაქტის თანხვედრას: პატარა ოჯახების ქონის სურვილს (TFR 2.0-ქალზე), თანამედროვე კონტრაცეპციული საშუალებების ნაკლებად გავრცელებას და იმას, რომ ხელოვნური აბორტები კვლავ რჩება შობადობის კონტროლის მთავარ მეთოდად. ამდენად, აბორტების რაოდენობის შემცირება უნდა მოხდეს დაუგეგმავი ორსულობების შემცირებების გზით.

დაუგეგმავი ორსულობის გამოსავლის მიხედვით მსოფლიოში განსხვავებული ტენდენციები არსებობს. აშშ-ში აბორტები ასოცირებულია პირველ ორსულობასთან გაუთხოვარ ქალებს შორის, ხოლო სხვა დაუგეგმავი ორსულობები ხშირად მთავრდება მშობიარობით. აღმოსავლეთ ევროპაში და ცენტრალურ აზიაში აბორტებს ძირითადად ქორწინებაში მყოფი ქალები მიმართავენ შობადობის კონტროლისთვის 1 ან 2 შვილის ყოლის შემდეგ ¹.

ჩვენ დავადგინეთ, რომ დაუგეგმავ ორსულობასთან დაკავშირებულ რისკის ფაქტორებს წარმოადგენს: ქალის საცხოვრებელი, ასაკი, განათლების დონე,

ეკონომიკური მდგომარეობა, ცოცხალი შვილების რაოდენობა, თუმცა მისი ხელოვნურ აბორტის გზით დასრულებასთან მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობა და დაბალი ქონებრივი ტერცილი იყო ასოცირებული. განსხვავებული მაჩვენებელი დაფიქსირდა რუსეთში, სადაც აბორტების კეთების შეფარდებითი რისკი ასოცირდებოდა მაღალი შემოსავლის მქონე ქალებთან¹⁵¹. როგორც ჩანს, ქალის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას ოჯახის დაგეგმვაზე საქართველოში. ქალი იძულებულია მიმართოს ხელოვნურ აბორტს დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევაში, რადგან მის ოჯახს არ შეუძლია კიდევ ერთი შვილის შენახვა. ამასთან, არ არსებობს სახელმწიფოს მხრივ დახმარება, რომელიც მას მატერიალურად უზრუნველყოფდა.

საყურადღებოა ეთნიკური უმცირესობების განწყობაც ამ საკითხთან მიმართებაში, რომლებსაც ქართველებთან, ანუ ეროვნულ უმრავლესობასთან შედარებით, როგორც დაუგეგმავი ორსულობების, ისე ამ ორსულობების ხელოვნური აბორტით შეწყვეტის მაღალი რისკი გააჩნიათ. ამიტომაც, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ჯანდაცვის მესვეურების მხრიდან.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნური აბორტებით დასრულების რისკთან დაკავშირებული უნდა იყოს სხვა რისკ ფაქტორებიც, კერძოდ: წინა ხელოვნური აბორტების რაოდენობა, ქორწინების სტატუსი, ქმრის/პარტნიორის დამოკიდებულება, შვილების სქესი და სხვა.

სხვადასხვა ქვეყანაში განათლების დონე განსხვავებულ გავლენას ახდენს ხელოვნური აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, აშშ-ში ხელოვნურ აბორტს მეტ წილად მიმართავდნენ კოლეჯის კურსდამთავრებულები, ხოლო უგანდაში ხელოვნურ აბორტს მიმართავდნენ ქალები დაბალი განათლების დონით¹⁵². საქართველოში ჩატარებული წინა კვლევებით დადგინდა, რომ განათლების მაღალი დონე წარმოადგენდა რისკის ფაქტორს¹⁵³. ამჟამინდელი კვლევით აბორტების რაოდენობა არ განსხვავდება განათლების დონის მიხედვით. როგორც ჩანს, ამ ასპექტში განათლების დონე, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი არ არის მნიშვნელოვანი.

ეფექტური თანამედროვე კონტრაცეპციის გამოყენება დაუგეგმავი ორსულობების ხელოვნური აბორტით კონტროლის ალტერნატიული გზაა. საქართველოში, სხვა აზიური ქვეყნების (ინდოეთი, თურქეთი) მსგავსად, ქალები დაუგეგმავი ორსულობით, ჩასახვამდე ნაკლებად იყენებდნენ საერთოდ კონტრაცეპციას (68.6%) და ძირითადად ნაკლებად ეფექტურ ტრადიციულ მეთოდებს მიმართავდნენ (74,2%), მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იმ პერიოდში (2005-2010 წწ), თანამედროვე კონტრაცეპციული საშუალებების შეძენა ქალებს ექიმის რეცეპტის გარეშე შეეძლოთ^(154,155,156). ეს მიუთითებს კონტრაცეპციული მეთოდების შესახებ არასრულყოფილ ინფორმირებაზე და მათი გამოყენების არასრულფასოვან ცოდნაზე. ცხადია, საჭიროა, რომ ჯანდაცვის პროფესიონალებმა და მათი მეშვეობით განათლების სისტემამ, მასმედია და სოციალურმა კონტაქტებმა უზრუნველყონ ქალების უკეთ ინფორმირება კონტრაცეპციული მეთოდების არჩევანზე. ეს გაზრდის თანამედროვე ეფექტური კონტრაცეპციის გამოყენებას, რისი მაგალითიცაა სხვა ქვეყნების გამოცდილება და რეკომენდაციები (¹⁵⁷ , ¹⁵⁸). ჰოლანდიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კონტრაცეპციაზე ახალგაზრდების ინფორმირება განსაკუთრებით საჭიროა, რადგან ამით მნიშვნელოვნად მცირდება ხელოვნური აბორტების რაოდენობა²³.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად (ბრიტანეთი, გერმანია, ბანგლადეში, განა), ქალის სოციო-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მახასიათებლებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონტრაცეპციის, განსაკუთრებით თანამედროვე კონტრაცეპციის გამოყენებაზე^{159,160,161}.

მაგალითად, თუ განვიხილავთ საცხოვრებელს როგორც დეტერმინატს, ვნახავთ, რომ ქალაქში ცხოვრება ასოცირდება კონტრაცეპციის მეტი სიხშირით გამოყენებასთან, რადგან ქალაქში ცხოვრება ქალს აძლევს მეტ შესაძლებლობას იყოს მეტად ინფორმირებული და შეიძინოს მეტი ცოდნა კონტრაცეპციის თანამედროვე ეფექტურ საშუალებებზე. მათ აქვთ მეტი წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე და აფთიაქებზე. ჩვენი კვლევით დადგინდა, რომ ქალაქად მაცხოვრებლები სარწმუნოდ უფრო ხშირად იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს, ვიდრე სოფლად მაცხოვრებლები,

გარდა დაბალი ასაკის, დაბალი განათლების დონის, მაღალი მატერიალური შეიძლება, აზებიაჯანელების, მუსლიმების და არარელიგიური ჯგუფის ქალებისა. მაღალი წვდომით ჯანდაცვის სერვისებზე და მაღალი მობილობით შეიძლება აიხსნას კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება ქალაქში და სოფელში მაღალი ქონებრივი ტერცილის და მაღალი მატერიალური შემოსავლის მქონე ქალებში. მაშინ როცა ქალები დაბალი და საშუალო ქონებრივი ტერცილით და დაბალი მატერიალური შემოსავლით ამ შესაძლებლობის გარეშე არიან. კონტრაცეპციის მეთოდებზე წვდომას უკავშირდება მამაკაცის კონდომის მეტი გამოყენება ქალაქში, რომელიც ადვილად შეიძლება შეიძინონ აფთიაქებში და მარკეტებში. თუმცა კონდომის ქალაქში მეტი სიხშირით გამოყენება მის ორმაგი ფუნქციითაც შეიძლება აიხსნას, დაიცვას ქალი არასურველი ორსულობისგან და სქესობრივად გადამდები დაავადებისგან¹⁶². ქალაქში, ურბანიზაციის და პოპულაციის მეტი რაოდენობის გამო პოტენციურად მეტია სქესობრივი კავშირები, მათ შორის ქორწინების გარეშე კავშირები.

თითოეული ქვეყნის ტრადიციებიდან გამომდინარე ქალის ორსულობისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია ასაკთან მიმართებაში. მაგალითად, ინდოეთში ახალ გათხოვილ ქალს შეიძლება უნდოდეს ორსულობის გადავადება, მაგრამ ის იძულებულია გააჩინოს შვილი, რათა დაამტკიცოს, რომ მას აქვს ფერტილობის უნარი სოციუმის და ოჯახის ზეწოლის თავიდან აცილების მიზნით¹⁶³. თანამედროვე ევროპელი ქალები არ გრძნობენ ასეთ წნეხს გათხოვებასთან და შვილის ყოლასთან დაკავშირებით მათი წინაპრებისგან განსხვავებით. მათ აქვთ თავისუფლება დაგეგმონ ორსულობა მისთვის სასურველი რაოდენობით და შესაფერის დროში. ევროპაში დაბალი ფერტილობის მაჩვენებლები ასევე „კონტრაცეპციულ რევოლუციასაც“ უკავშირდება¹⁶⁴.

საქართველოში, დაბალ ასაკობრივ ჯგუფში (15-19 წელი) ქალაქად და სოფლად მაცხოვრებელი ქალები ერთნაირად იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე და ტრადიციულ მეთოდებს. ეს შეიძლება აიხსნას საქართველოში ქალის ორსულობისადმი დამოკიდებულებით, რაც ზევით იქნა მოხსენიებული.

კვლევების მიხედვით, განათლების დონე ერთ-ერთ ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს კონტრაქტაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენების დონეზე^{14, 146, 147, 148, 165, 166}. ჩვენი კვლევითაც დადგინდა, რომ იგი გარკვეულ გავლენას ახდენს ქალის მიერ კონტრაქტაციის მეთოდების შერჩევაზე. კონდომები სარწმუნოდ ხშირად გამოიყენება მაღალი განათლების მქონე ქალების მიერ, მაშინ როცა კონტრაქტაციის ტრადიციული მეთოდის, შეწყვეტილი სქესობრივი კავშირის გამოყენება არასრული საშუალო განათლების ქალების მიერ უფრო ხშირია.

ქალაქში მაცხოვრებლები სოფელში მაცხოვრებელ ქალებთან შედარებით, განათლების მაღალი დონით: საშუალო, ტექნიკუმის და უმაღლესი/უმაღლესისშემდგომი განათლებით, უფრო მეტი სიხშირით იყენებენ კონტრაქტაციის თანამედროვე მეთოდებს ვიდრე ტრადიციულს, როგორც ჩანს, მათზე მაღალი წვდომის გამო. ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონე ქალების მიერ კონტრაქტაციის გამოყენება არ განსხვავდებოდა საცხოვრებლის მიხედვით. ამგვარად, თანამედროვე კონტრაქტაციის გამოყენება კორელაციაშია განათლების მაღალ დონესთან. ქალის სურვილი თავიდან აიცილოს არასასურველი ორსულობა, მას უფრო მოტივირებულს ხდის მოიძიოს და გამოიყენოს მაღალეფექტური კონტრაქტაცია. განათლებულ ქალს აქვს მეტი შესაძლებლობა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ცოდნის მისაღებად, რაც მას აძლევს მეტ ავტონომიას და გადაწყვეტილების მიღების უნარს საცხოვრებლის მიუხედავად.

რაც შეეხება ეთნიკური წარმომავლობის პრედიქტორულ ღირებულებას კონტრაქტაციის მეთოდების გამოყენებასთან მიმართებაში, დადგინდა, რომ ქართველებთან შედარებით სომხები სარწმუნოდ უფრო იშვიათად იყენებდნენ კონტრაქტაციულ აბებს, სშს-ს და მამაკაცის კონდომს, ხოლო აზერბაიჯანელები ნაკლებად იყენებდნენ მამაკაცის კონდომს და მეტად სშს-ს. 2010 წელს სომხეთში ჩატარებულმა დემოგრაფიულმა და ჯანმრთელობის კვლევამ აჩვენა, რომ სომხეთში ქალების მიერ ხშირად იყო გამოყენებული შეწყვეტილი სქესობრივი აქტი, რაც აჩვენა ჩვენმა კვლევამაც¹⁶⁷. თუმცა ეთნიკურობის მიხედვით კონტრაქტაციის გამოყენების

მაჩვენებლები განსხვავდებიან ეთნიკური წარმომადგენლების მშობლიურ ქვეყნებში კონტრაქციის გამოყენების მაჩვენებლებისგან. როგორც ჩანს, სხვა ქვეყანაში ხანგძლივმა ცხოვრებამ გავლენა მოახდინა მათ სქესობრივ რეპროდუქციულ უნარ-ჩვევებზე, განსაკუთრებით ახალ თანამედროვე კონტრაქციული მეთოდების გამოყენებასთან მიმართებაში. თუმცა სრულად ვერ მოახდინა ახალი ქვეყნის უნარ-ჩვევებთან ასიმილირება.

აღსანიშნავია, რომ სოფელში მაცხოვრებელი სომეხი ეთნიკური წარმოშობის ქალები, თანამედროვე კონტრაქციის გამოყენებლობის რისკის ქვეშ არიან, ისინი ტრადიციულად მიმართავენ შეწყვეტილ სქესობრივ აქტს, რასაც ნაკლები კონტრაქციული ეფექტი აქვს¹⁶⁸. ეს ფაქტი იმსახურებს ყურადღებას ჯანდაცვის მესვეურების მხრიდან, რათა მათ გააძლიერონ მუშაობა ამ სამიზნე მოსახლეობასთან.

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ცოცხალი შვილების რაოდენობა და ოჯახის შემოსავალი სარწმუნოდ ასოცირდება თანამედროვე კონტრაქციის გამოყენებასთან¹⁶⁹. ქალები, რომლებსაც ჯერ არ ჰყავთ არცერთი შვილი, ცდილობენ დაორსულებას, რის გამოც მათ არ აქვთ მოთხოვნა კონტრაქციისაზე. ამის დასტურად ჩვენს მიერ ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ რაც უფრო ცოტა შვილი ჰყავდა ქალს, მით უფრო ნაკლებად მოიხმარდა კონტრაქციულ საშუალებებს, ვიდრე ოთხ და მეტშვილიანი ქალი. ამავე ფაქტით უნდა აიხსნას, ქალაქად და სოფლად კონტრაქციის თანამედროვე და ტრადიციულ მეთოდების გამოყენებას შორის განსხვავების არ არსებობა არცერთი და ოთხზე მეტი შვილის შემთხვევაში. ქალაქად და სოფლად ქალები არცერთი შვილით ერთნაირად დაბალი სიხშირით იყენებენ კონტრაქციის თანამედროვე და ტრადიციულ მეთოდებს, რადგან ამ ჯგუფში, საზოგადოდ ნაკლებია კონტრაქციის გამოყენება. ამის საპირისპიროდ ქალი 4 და მეტი შვილით მოტივირებულია დაუგეგმავი ორსულობის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენოს ორსულობისგან ეფექტურად დაცვის საშუალებები, ამიტომ სოფლად მაცხოვრებელი ქალები ისეთივე სიხშირით იყენებენ კონტრაქციის თანამედროვე მეთოდებს, როგორც ქალაქად მაცხოვრებელი. გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ ჩვენს

შერჩევაში მოხვედრილი ასეთი ქალების რაოდენობა მცირეა, საქართველოში ოთხ და მეტწვილიანი ქალების რაოდენობა არ არის დიდი, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შობადობის კოეფიციენტი საქართველოში 2,0 -ის ტოლია. ამ გარემოებას შეემლო ემოქმედა სტატისტიკური ანალიზის შედეგზე.

როგორც ვნახეთ, კონტრაცეპციის გამოყენებასთან მჭიდრო კორელაციაშია სოციალური, ეკონომიკური ფაქტორები. ეს ფაქტი ხაზს უსვამს, ჯანდაცვის მესვეურების მხრიდან ქალების სრულყოფილი ინფორმირების გზით კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდის გამოყენების პრომოციის საჭიროებას უშუალოდ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობით. ეს გაზრდის მათი არასასურველი ორსულობისგან თავდაცვის ეფექტურობას, გაზრდის კონტრაცეპციის ეფექტური მეთოდების გამოყენებას, შეამცირებს დაუგეგმავი ორსულობების და მის შემდგომ ხელოვნური აბორტების რაოდენობას.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენადაა მოსახლეობა ინფორმირებული კონტრაცეპციის საკითხებზე. ინფორმირების წყაროს სანდოობა კონტრაცეპციის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღების მნიშველოვანი განმსაზღვრელია. სხვა კვლევების მსგავსად, საქართველოშიც ექიმებს დიდი წვლილი შეაქვთ ამ გადაწყვეტილების მიღებაში^{124, 170, 171}. კონტრაცეპციის გამოყენება განსაკუთრებით იზრდება ჯანდაცვის პროფესიონალებთან კონსულტირების შემდეგ, მაშინაც კი თუ ეს ახალ მეთოდს ეხება¹⁷². მაგალითად, ოჯახის დაგეგმვის საკითხებში დანიის გამოცდილებამ აჩვენა, რომ თანამედროვე კონტრაცეპციის დანერგვა (ძირითადად, კონტრაცეპციული აბების და ქალის სტერილიზაციის) სტიმულირებული იყო „ოჯახის დაგეგმვის“ პროგრამების ნებაყოფლობითი აქტივობებით, ოჯახის ექიმების პოზიტიური როლით და საყოველთაო დაზღვევის სისტემით²³.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა მულტინომინალურმა ლოგარითმულმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ექიმისგან მოპოვებული ინფორმაცია ასოცირდებოდა, როგორც თანამედროვე კონტრაცეპციული მეთოდების (კონტრაცეპციული აბების და სშს), ისე ტრადიციული მეთოდების გამოყენებასთან. ეს ფაქტი მიუთითებს ექიმების მიერ

ტრადიციული მეთოდების პრომოციაზე და ხაზს უსვამს ექიმების ცოდნის განახლების საჭიროებას და მათი დამოკიდებულების შეცვლას თანამედროვე კონტრაქციის მიმართ, ასევე კონსულტირების უნარების გაუმჯობესების აუცილებლობას, განსაკუთრებით, პირველადი ჯანდაცვის სისტემის ექიმებისთვის, სადაც ქალი ხშირად პირველად მიმართავს ექიმს.

ჩვენი კვლევის შედეგები თანხმობაშია საქართველოში ჩატარებულ ექიმების კვლევასთან „ექიმების დამოკიდებულება ოჯახის დაგეგმვის საკითხებისადმი“, სადაც ნაჩვენებია, რომ ექიმები პაციენტებში, ძირითადად, პრომოციას უწევენ მამაკაცის კონდომს, აბებს, სშს-ს და სამწუხაროდ ქალებს კონტრაქციის ტრადიციულ მეთოდებსაც სთავაზობენ¹⁷³. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ მამაკაცის კონდომთან მიმართებაში წარმოადგენს ინფორმირების მნიშვნელოვან წყაროს ქმარი/პარტნიორი. როგორც ჩანს, სხვადასხვა მეთოდზე ინფორმირების შემთხვევაში ქალები კონტრაქციის გამოყენებაზე არჩევენ ან პარტნიორის სურვილის ან უფრო სანდო წყაროდან (ექიმი) მიღებული ინფორმაციის შესაბამისად.

საქართველოში ქალების უმრავლესობა სქესობრივ ცხოვრებას იწყებს გათხოვების შემდეგ და ქმარი არის მისი პირველი პარტნიორი, რომელსაც ხშირად უკვე აქვს გამოცდილება სქესობრივ ცხოვრებაში. როდესაც მათ უდგებათ საკითხი არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად, მანამდე „გამოცდილი“ ქმარი სთავაზობს მას მეთოდს, რომელიც მისთვის უკვე ნაცნობია, ხშირად ქორწინების გარეშე კავშირებიდან. ცალ-ცალკე, საქართველოში ჩატარებულმა ქალების და მამაკაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებმა აჩვენა, რომ ყველაზე გავრცელებული კონტრაქციული არის მამაკაცის კონდომი. ეს შეიძლება აიხსნას ქორწინების გარეშე ურთიერთობებით და კონდომების ორმაგი ფუნქციით: არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება და სქესობრივად გადამდები დაავადებისგან თავის დაცვა¹⁷⁴.

საქართველოში, მამაკაცები იშვიათად არიან ჩართული კონტრაქციაზე კონსულტირებაში, რის გამოც ისინი არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას. ამიტომ, ისინი თავიანთ პარტნიორებს სთავაზობენ მათთვის ნაცნობ მეთოდს, რაშიც თვითონ

მონაწილეობენ. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა წყვილების ჩართვა კონტრაქციის საკითხებზე კონსულტირებაში და თანამედროვე, ეფექტური კონტრაქციის მეთოდებზე ქალთან ერთად მამაკაცის ინფორმირებაში.

მსოფლიოში მასმედია და ინტერნეტი მსოფლიო მასშტაბით სულ უფრო ხშირად ხდებიან ინფორმირების წყარო, რაც ზრდის კონტრაქციაზე ინფორმირების დონესაც^{175, 176, 177}. საქართველოში, როგორც დადგინდა, მედია ვერ ახდენს გავლენას კონტრაქციის გამოყენების არჩევანზე. 2013 წლის კვლევის თანახმად თბილისის რეზიდენტების 30% და სოფლად მაცხოვრებლების 65% ინტერნეტის გარეშე იყვნენ. ხშირ შემთხვევაში ინტერნეტი საქართველოში მხოლოდ კომუნიკაციისთვის გამოიყენება¹⁷⁸. აქედან გამომდინარე, ინტერნეტი საქართველოში ვერ განიხილება კონტრაქციაზე ინფორმირების წყაროდ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტს ჰყავს მზარდი რაოდენობის მომხმარებელი და ვებსაიტებზე რელევანტური, სწორი ინფორმაციის განთავსება, მათ შორის გადაუდებელი კონტრაქციის შესახებ, შესაძლოა დაეხმაროს ბევრ ქალს დაუგეგმავი ორსულობის თავიდან აცილებაში.

გადაუდებელ კონტრაქციაზე ინფორმირება და მისი ფართოდ გავრცელების საკითხი აქტუალურია სხვა ქვეყნებისთვისაც და საჭიროებს მეტი საინფორმაციო ღონისძიებების გატარებას როგორც ჯანდაცვის პროვაიდერებთან, ისე ფარმაცევტებთან, რათა მათ შემდგომ უზრუნველყონ დაუგეგმავი ორსულობის რისკის ქვეშ მყოფი ქალების ინფორმირება კონტრაქციული მეთოდის ამ არჩევანის შესახებ¹⁷⁹.

როგორც დადგინდა ჩვენი კვლევით, კონტრაქციაზე ინფორმაციის მოპოვება ხშირად მეგობრებიდან ხდება, თუმცა ეს წყარო არ ასოცირდება კონტრაქციის ჩვენს მიერ გამოკვლეული არცერთი მეთოდის გამოყენებასთან (კონტრაქციული აბები, სშს, მამაკაცის კონდომი, შეწყვეტილი სქესობრივი აქტი, კალენდარული/რითმული მეთოდი). როგორც ჩანს, ქალები მას არ განიხილავენ ინფორმირების სანდო წყაროდ.

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ სკოლიდან მოპოვებული ინფორმაცია გავლენას ახდენს კონტრაქციული მეთოდების გამოყენებაზე¹⁸⁰. თუმცა, ჩვენი მონაცემებით, საქართველოში სკოლიდან მოპოვებული ინფორმაცია მწირია და

ამიტომ არ აქვს გავლენა კონტრაქციის არცერთი მეთოდის გამოყენებაზე. საგანმანათლებლო ინსტიტუციებმა უნდა გამოიჩინონ ყურადღება ამ საკითხის მიმართ, რათა დაფუძნდეს და პრომოცია გაეწიოს სქესობრივი/რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში განათლებას სასწავლო დაწესებულებებში.

ნაკლებად გავრცელებული კონტრაქციული მეთოდები არ ასოცირდება არცერთ ინფორმირების წყაროსთან. 2010 წლის ქალთა რეპროდუქციულმა კვლევამ საქართველოში აჩვენა, რომ კონტრაქციაზე ინფორმირება სჭარბობს მათ გამოყენებას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქალებს სჭირდებათ მეტი ინფორმირება სანდო წყაროებიდან, რაც მათ გააკეთებინებს მართებულ არჩევანს თავიანთი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში. საზოგადოდ, ქალებს ურჩევნიათ ექიმებისგან იყვნენ ინფორმირებული. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საჭიროა ექიმების ცოდნის გაუმჯობესება თანამედროვე ეფექტური კონტრაქციის მეთოდების შესახებ, ასევე საჭიროა მათი სწავლება კონსულტირების მაღალ დონეზე ჩატარების უნარების შესაძენად, რათა ისინი დაეხმარონ ქალებს მიიღონ კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილება მაღალეფექტური კონტრაქციის გამოყენებაზე.

თავი 5. დასკვნები

- საქართველოში დაუგეგმავი აღმოჩნდა ორსულობების 39,7%. მათ შორის ხელოვნური აბორტით დამთავრდა 85,5%. ამ ქალთა ჯგუფში დაუგეგმავი ორსულობის წინა პერიოდში კონტრაცეპციის ნებისმიერი მეთოდის გამოყენების წილმა შეადგინა 31,4%. მათგან თანამედროვე კონტრაცეპციის გამოყენების ხვედრითი წილი იყო 25,8%.
- მულტინომინალური რეგრესიული ლოგარითმული ანალიზით დადგინდა, რომ დაუგეგმავი ორსულობის სარწმუნოდ ნაკლები შეფარდებითი რისკი ჰქონდათ ქალაქად მაცხოვრებელ ქალებს სოფელში მაცხოვრებლებთან შედარებით. ქალის ასაკი, განათლების დონე და ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფითად კორელირებდა დაუგეგმავი ორსულობების სიხშირესთან. ოთხ და მეტ შვილიან ქალებს დაუდგინდათ სარწმუნოდ დაბალი რისკი ორშვილიან ქალებთან შედარებით, ხოლო ყველაზე დაბალი რისკი გამოუვლინდათ ქალებს, რომლებსაც შვილი არ ჰყავდათ. ეთნიკურ წარმომავლობას და რელიგიურობას არ ჰქონდათ სტატისტიკურად სარწმუნო გავლენა დაუგეგმავი ორსულობების მაჩვენებლებზე.
- სტატისტიკურმა ანალიზმა არ გამოავლინა დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნური აბორტით შეწყვეტაზე ქალის საცხოვრებლის, ასაკის, განათლების დონის, ქალის შემოსავლის, ცოცხალი შვილების რაოდენობის და რელიგიურობის გავლენა. დადგინდა, რომ ქართველები სარწმუნოდ უფრო ნაკლებად მიმართავენ ხელოვნურ აბორტს ვიდრე სხვა ეთნიკურობის წარმომადგენლები, ისევე როგორც ქალები დაბალი ქონებრივი ტერცილით მაღალი ქონებრივი ტერცილის მქონე ქალებთან შედარებით.
- ხელოვნური აბორტის წინა პერიოდში კონტრაცეპციის გამოყენება არ იყო კორელაციაში ქალის საცხოვრებელთან, ასაკთან, განათლების დონესთან, ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ქონებრივ ტერცილთან და ეთნიკურ წარმომავლობასთან. გამოვლინდა, რომ არაქართველი მართლმადიდებლები

სარწმუნოდ უფრო ხშირად იყენებდნენ კონტრაცეპციის რაიმე მეთოდს, ვიდრე ქართველი მართლმადიდებლები.

- ქალაქად მაცხოვრებლები სოფლად მაცხოვრებლებთან შედარებით, 20-34 წლის ქალები 40-44 წლის ქალებთან შედარებით, ქართველები სხვა ეთნიკურ წარმომადგენლებთან შედარებით სარწმუნოდ უფრო ხშირად იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს. ხოლო არასრული და საშუალო განათლების მქონე ქალები უმაღლესი/უმაღლესისშემდგომი განათლების მქონე ქალებთან შედარებით, ქალები დაბალი ქონებრივი ტერცილით მაღალ ქონებრივ ტერცილთან შედარებით, მუსლიმები და სხვა მართლმადიდებლები ქართველ მართლმადიდებლებთან შედარებით სარწმუნოდ უფრო ნაკლებად იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს ხელოვნურად შეწყვეტილი დაუგეგმავი ორსულობის წინა პერიოდში. თუმცა უფრო მძლავრი კორელაცია გამოვლინდა ასაკთან და ქონებრივ ტერცილთან. ქალის ასაკი უარყოფითად კორელირებდა კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებასთან. ქონებრივი ტერცილი კი დადებით კორელაციაში იყო თანამედროვე კონტრაცეპციის გამოყენებასთან.
- ქალაქად მაცხოვრებელი ქალები სოფლად მაცხოვრებლებთან შედარებით სარწმუნოდ ხშირად იყენებდნენ მამაკაცის კონდომს. დაბალი ასაკობრივი გჯუფის ქალები ნაკლებად იყენებდნენ სშს-ს და მამაკაცის კონდომს, ხოლო 30-39 წლის ქალები მეტად იყენებდნენ კონტრაცეპციულ აბებს და მამაკაცის კონდომს 40-44 წლის ქალებთან შედარებით. განათლების მაღალი დონე ასოცირდებოდა კონტრაცეპციის გამოყენების მაღალ ალბათობასთან. ქართველი ეროვნების ქალებთან შედარებით სომეხი ეროვნების ქალები ნაკლებად იყენებდნენ კონტრაცეპციულ აბებს, სშს-ს და მამაკაცის კონდომს და მეტად შეწყვეტილ სქესობრივ აქტს, ხოლო აზერბაიჯანელები, ნაკლებად - მამაკაცის კონდომს და მეტად - სშს-ს. ცოცხალი შვილების რაოდენობა უარყოფით კორელაციაში იყო კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენებასთან.
- ქალაქად მაცხოვრებელი ქალები 20-44 წლის ასაკში, მაღალი განათლების დონით, დაბალი მატერიალური შესაძლებლობით, დაბალი ქონებრივი ტერცილით, 1,2 და 3

ცოცხალი ბავშვების რაოდენობით, ქართველები და სომხები, მართლმადიდებლები და „სხვა“ რელიგიები სოფლად მაცხოვრებელ იგივე მახასიათებლების მქონე ქალებთან შედარებით სარწმუნოდ უფრო ხშირად იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს. ხოლო სოფლად და ქალაქად ქალები 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან, დაბალი განათლების დონით, მაღალი ეკონომიკური მდგომარეობით, არცერთი ან ოთხზე მეტი ცოცხალი ბავშვების რაოდენობით, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნების ქალები, მუსლიმები და არარელიგიური ქალები თანაბარი სიხშირით იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს.

- ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ქალები კონტრაცეპციაზე ყველაზე ხშირად მეგობრებიდან იყვნენ ინფორმირებულნი, თუმცა მათგან მიღებული ინფორმაცია გავლენას ვერ ახდენდა კონტრაცეპციის ვერც ერთი მეთოდის გამოყენებაზე. კონტრაცეპციის გამოყენებაზე გავლენას ახდენდა ექიმისგან და ქმარი/პარტნიორისგან მიღებული ინფორმაცია.
- ამგვარად, ჩატარებული მულტიინონალური ლოგარითმული რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაუგეგმავი ორსულობის მაღალი რისკის ჯგუფებს წარმოადგენენ ქალები განათლების დაბალი დონით, დაბალი ეკონომიკური სტატუსით, დაბალი ქონებრივი ტერცილით, მაღალი ასაკით, სოფლად მაცხოვრებელი და ორშვილიანი ქალები.
- დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნური აბორტით შეწყვეტის რისკის ჯგუფებს მიეკუთვნება ქალები დაბალი ქონებრივი ტერცილით და ეთნიკური უმცირესობები.
- ხელოვნური აბორტით დასრულებული დაუგეგმავი ორსულობის წინა პერიოდში თანამედროვე კონტრაცეპციის არ გამოყენების რისკ ჯგუფები განისაზღვრა: სოფლად ცხოვრებით, მაღალი ასაკით, განათლების დაბალი დონით, დაბალი ქონებრივი ტერცილით, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით.
- თანამედროვე ეფექტური კონტრაცეპციის ნაკლებად და არასწორად გამოყენების მიხედვით, რისკის ჯგუფებად განიხილება: სოფლად მაცხოვრებელი, მაღალი ასაკის, განათლების დაბალი დონის, დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ქალები.

თავი 6. რეკომენდაციები

- ✓ მიზანშეწონილია, ჯანდაცვის სისტემის მესვეურებმა გაითვალისწინონ, მოსახლეობასთან კონტრაქციის თანამედროვე ეფექტური მეთოდების დანერგვის მიზნით, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის ინტენსიური წარმართვის აუცილებლობა არამარტო ჯანდაცვის პროვაიდერების, არამედ ფართო საინფორმაციო საშუალებების მხრივაც. დაუგეგმავი ორსულობების და მათი ხელოვნურად შეწყვეტის პრევენციის თვალსაზრისით, მხედველობაში უნდა მიიღონ ჩვენი კვლევით იდენფიცირებული დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური რისკის ფაქტორები და გააძლიერონ მუშაობა მაღალი რისკის სამიზნე ჯგუფებთან (სოფელში მაცხოვრებელ, მაღალი ასაკის, დაბალი განათლების დონის, დაბალი ეკონომიკური შეძლების მქონე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ და ორ და მეტ შვილიან ქალებთან), კონტრაქციის შესახებ მათი ცოდნის ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით კონტრაქციის თანამედროვე მეთოდებზე.
- ✓ მიზანშეწონილია, როგორც რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ისე პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების ცოდნის დონის ამაღლება კონტრაქციის თანამედროვე ეფექტური მეთოდების უპირატესობების შესახებ და კონტრაქციის სფეროში კონსულტირების უნარ-ჩვევების გაუმჯობესების თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს ახალი კონტრაქციული მეთოდების ინტეგრაციას კლინიკურ პრაქტიკაში და წყვილის მიერ სწორი ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას და შედეგად შეამცირებს დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობას და მასთან ასოცირებულ ხელოვნური აბორტების რაოდენობას.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Faculty of Medicine

Department of Obstetrics – Gynecology and Reproductology

With the right of manuscript

Tamar Japaridze

**Unintended pregnancies, their outcome and relation with usage of
contraception in Georgia**

The Ph.D Thesis

Presented for the academic degree of doctor of Medicine

Research Director: Professor Jenara Kristesashvili,MD, Doctor of Medical Sciences,

Tbilisi, 2016

The theme importance:

Unintended pregnancy with high rates of subsequent abortions still remains an important problem around the world. Due to insufficient care for pregnancy, this may affect sexual, reproductive and general health status of the woman; result in serious mental and physical problems for her as well as her family. Like other countries, in Georgia high frequency of unplanned pregnancies, which often terminated in induced abortion, is an actual problem. The rate of induced abortions gradually fell from 3.1 abortions per woman (104 abortions per 1000 women) in 1999, to 1.6 abortions per woman (56 abortions per 1000 woman) in 2010. However, these indicators are unfavorable, as the rate of unintended pregnancies and induced abortions are still high. Awareness about contraception has a crucial role for reducing unintended pregnancy. Lack of knowledge, education and informing the population regarding contraception still remains a major obstacle for Georgia.

Problems associated with unintended pregnancies, induced abortion and usage of contraception is different regarding countries, therefore, it is very important to ascertain the problems and risk factors, that is characteristic for each country and which demands targeted preventive measures for their minimization. A lot of survey shows that social, demographic, economic and traditional factors, such as residence area, age, level of education, ethnic background, religion affiliation, economic status of women, wealth index, number of living children have influence on the rate of unintended pregnancies, induced abortions and usage of contraception. These factors often determine access on reproductive health and contraceptive methods.

In order to identify high-risk women and provide implementation of appropriate preventive measures, it is essential for providers of health care system and physicians to know the risk factors associated with unplanned pregnancies, induced abortion and low use of contraception.

In Georgia, it has not been conducted survey regarding unintended pregnancy, induced abortion and usage of methods of contraception, which will be determined via associating with them demographic, social and economic factors and significant sources of information influencing the use of contraception. Therefore, it is of high importance to conduct survey regarding this topic. Results from this study will help health care providers and policy makers, by taking into consideration factors identified in our study, to specifically intensify work with target groups and implement necessary intervention. Efficient strategies will improve the knowledge about contraception,

especially its modern methods, increase accessibility to and use of these methods. That, in turn, will reduce the number of unintended pregnancies and associated induced abortions with direct participation of health care providers.

Based on all above mentioned the **aim** of our study was to determine the prevalence of Unintended pregnancies in Georgia, their outcomes, prior usage of contraception, including modern and traditional methods, in women who terminated their unintended pregnancies by induced abortion, overall usage of more prevalent contraceptive methods in Georgia and identify such predictor variables as area of residence, age, level of education, economic status of woman, wealth tercile, ethnicity, religion and number of living children, also to determine the significant sources of information on contraceptive methods decision-making and its influence on contraception use in Georgia.

Objectives

- Detection of the prevalence of unintended pregnancies, their outcomes and use of modern and traditional methods of contraception in women who terminated their unintended pregnancies by induced abortion, overall prevalence of frequently used contraceptive methods and their distribution by demographic and socio-economic characteristics in Georgia.
- Detection of the association of risk factors: area of residence, age, level of education, women material status, wealth tercile, number of living children, religion and ethnicity with unintended pregnancies, termination of unintended pregnancy by induced abortion, prior use of modern and traditional methods of contraception in women who terminated their unplanned pregnancy by induced abortion and with most frequently used modern and traditional methods use.
- Detection of area of residence (urban, rural) influence on modern and traditional contraceptive methods use in different groups of women distinctive by socio-economic characteristics: age, level of education, women material status, wealth tercile, number of living children, religion and ethnicity.
- Detection the significant sources of information on contraceptive methods and its influence on contraception use in Georgia.

Materials and Methods

Secondary analysis of database of 2010 Reproductive Health Survey was performed. Cross-sectional study, using stratified multistage sampling method was conducted from October 2010 through February 2011, with approval of ethics committee of National Center for disease Control of Georgia. After obtaining informed consent 6292 women, regardless of marital status, who lived in Georgia during the survey period (excluding separatist regions of Abkhazia and South Ossetia) were interviewed at their homes. Inclusion criterion was age of 15 and 44. In addition, for our study, inclusion criteria were: for identifying predictor variables for unintended pregnancies - women, who had a pregnancy within last 5 years; for termination of unplanned pregnancy by induced abortion - women having unplanned pregnancy, for use of contraception - women, who terminated unintended pregnancies by induced abortion and for use of modern and traditional methods of contraception - use of any method of contraception. For contraceptive methods use – women who ever had sexual relationship, for influence of source of information on contraception decision-making – women who ever had sexual relationship, for area of residence influence on contraception – women who currently used contraception. Anyone outside these groups was excluded from analysis.

Data were analyzed using the statistical software SPSS version 17. We used descriptive statistics and multinomial logistic regression to calculate odds ratios (ORs) for predictor variables: area of residence, age, level of education, ethnicity, marital status, wealth tercile, religion, ethnicity, source of information of dependant variables (unintended pregnancies, induced abortion, use of contraception, use of methods of contraception) in selected group of women.

Results

- In Georgia, 1068(39,7%) women reported that their pregnancies were unintended. 913(85,5%) of them ended by induced abortion. 626(68,6%) didn't use any method of contraception. 287(31,4%) used any method of contraception, 74(25,8%) of them used modern methods of contraception.
- Multinomial logistic regression analysis showed that higher risk of unintended pregnancies had women living in rural areas, compared to those living in urban locations. The lower the level of education, the lower the economic condition, lower number of living children and higher the age of woman, higher was the risk of unintended pregnancies. After adjusting for these variables level of education, number of living children and age remained associated with the risk of unintended pregnancies ($P<0.05$). Ethnic origin and religion have no impact on the rates of unintended pregnancies ($p>0.05$).
- It was found that in case of unintended pregnancies women in higher wealth tercile and Georgian women were less likely to terminate the pregnancy by induced abortion($p<0.05$) compared to women of lower wealth tercile and other ethnic origin.
- With regards to use of any method of contraception prior unintended pregnancies no statistically significant differences were found according to area of residence, age, level of education, material status and ethnicity ($p>0.05$). It was identified that non-Georgian Orthodox women were more likely to use any method of contraception compared to Georgian Orthodox women ($p<0.05$)
- Multinomial logistic regression analysis of use of modern or traditional methods of contraception showed that the type of contraception statistically significantly differed according to area of residence, age, level of education, ethnic origin and religion. After adjusting for these variables only age and wealth tercile were associated with the usage of modern methods of contraception. Women of 20-39 years age groups were more likely to use modern methods of contraception compared to women of 40-44 age group ($p<0.05$). Women in lower wealth tercile were less likely used modern methods of contraception ($p<0.05$).
- Modern contraceptive methods were being used by 1436 (64.3%) women in urban areas and by 798 (35.7%) women in rural areas. Women living in urban areas of 20-44 years, with advanced level of education ($p<0.01$), lower wealth terciles ($p<0.05$), with low material status ($p<0.01$), Georgian and Armenian ethnicity ($p<0.001$), Orthodox ($p<0.001$), along with 1, 2, 3 living children ($p<0.01$) compared to women living in rural areas ($n=1181$) were more likely to use

modern methods of contraception, with no differences between women living in urban and rural areas, regarding the lowest level of education, the highest economic condition, four and more children, muslims, with no religion, Azeri and others and 15-19 years age.

- Women living in urban areas were more likely to use male condoms compared to those living in rural areas ($p < 0.001$). Compared to women 40-44 years, women in lower age groups were less likely to use IUD and male condom and 30-39 years were more likely to use contraceptive pills and male condoms ($p < 0.05$). Advanced level of education was associated with high likelihood of contraception use ($p < 0.05$). Armenian women less used contraceptive pills, IUD and male condoms, Azeri women – male condom and more used IUD compared to Georgians ($p < 0.05$). The number of living children was in positive correlation with all contraceptive methods use.
- frequently friends are source of information about contraception. Information obtained from them was not statistically significantly associated with contraceptive use. Doctors have an impact on modern, effective contraception choice (IUD, pill) and on traditional methods choice as well. Men have influence on male condoms and withdrawal use.

Scientific novelty of the work

- In Georgia, Firstly, by using of multinomial regression analysis, was detected the prevalence of unintended pregnancies outcomes and usage of modern and traditional methods of contraception prior unintended pregnancy terminated by induced abortion, contraceptive methods distribution by demographic and socio-economic characteristics and their association with risk factors: area of residence, age, level of education, women material status, wealth tercile, number of living children, religion and ethnicity and was calculated odds ratios.
- It was detected, that risk factors of unintended pregnancy were: living in rural area, advanced age, lower level of education, lower material status and wealth tercile, higher number of living children; with termination of unintended pregnancy – lower wealth tercile and other than Georgian ethnicity.
- Firstly was established, that prior use of contraception in women who terminated their unintended pregnancy by induced abortion was in correlation with religion. Non Georgian orthodox were more likely used any method of contraception then Georgian orthodox.
- Firstly was established, that women living in urban areas, 20-34 years, Georgian were more likely to use modern methods of contraception prior unintended pregnancies terminated by induced abortion. Muslims and other orthodox, lower level of education and lower wealth tercile were less likely to use modern contraceptive methods.
- By using multinomial logistic regression analysis firstly was detected, that women living in urban areas were more likely to use male condoms compared to those living in rural areas ($p < 0.001$). Compared to women 40-44 years women in lower age groups were less likely to use IUD and male condom and 30-39 years were more likely to use contraceptive pills and male condoms ($p < 0.05$). Advanced level of education was associated with high likelihood of contraception use ($p < 0.05$). Armenian women less used contraceptive pills, IUD and male condoms, Azeri women – male condom and more used IUD compared to Georgians ($p < 0.05$). The number of living children was in positive correlation with all contraceptive methods use.
